1910-იან წლებში „კინო“ განვითარდა და დაახლოებით პირველი მსოფლიო ომის დროს, როგორც გამორჩეულმა მასობრივმა გასართობმა, საბოლოოდ უკან მოიტოვა მიუზიკ-ჰოლები.

კინოინდუსტრია მოყვარულთა სათამაშო მოედანი აღარ იყო. 1911 წელი შეიძლება "კინოს მეორე დაბადებად" ჩაითვალოს. ამ წელს, კინომ დაიწყო კავშირების გაწყვეტა სხვა მედია ბიზნესებთან, როგორიც იყო ბაზრობის მოედნები და მიუზიკ-ჰოლები. დაიწყო კინოთეატრების ქსელების ჩამოყალიბება და 1911 წელი ღირსშესანიშნავი იყო ელექტრო კინოთეატრების დაარსებით, რომელთაგან ბევრი დღემდე შემორჩა.

უფრო გრძელი სრულმეტრაჟიანი ფილმის გამოჩენამ, რომლებიც კინოინდუსტრიის უპირატეს პროდუქტად იქცეოდა, წარმოქმნა სპეციალურად აშენებულ კინოთეატრებში მასიური გადასვლის აუცილებლობა. ეს უფრო გრძელი ფილმები აღარ ჯდებოდა მიუზიკ-ჰოლების სტრუქტურაში და საკმარისად პოპულარული იყო, რომ დამოუკიდებლად ეარსება. აუდიტორიას უფრო გრძელი და სრულად ჩამოყალიბებული ისტორიების ყურება სურდა.

ახალი ბიზნეს მოდელი დაფუძნდა შერეული კინო პროგრამის ორ დანამატზე - რეგულარულ კინოქრონიკებზე, რომლებიც კინოს ყურებას მყარ სოციალურ მიმართულებას სძენდნენ, და ჩვეულებრივ სათავგადასავლო სერიებსა და სერიალებზე, რომლებიც ახლა ბრიტანულ ეკრანებზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

თვითონ კინოთეატრს უფრო ფართო აუდიტორიის მოზიდვა შეეძლო, ვიდრე მიუზიკ-ჰოლებს და ბაზრობის გასართობებს. 1910 წლიდან, პირველ მსოფლიო ომამდე, ბრიტანულ კინოში დომინირებდა ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციები, როგორიცაა ჩარლზ დიკენსის "ოლივერ ტვისტი", "დევიდ კოპერფილდი" და "სკრუჯი" (საშობაო ზღაპარი), უილიამ შექსპირის "ჰამლეტი" და სერ უოლტერ სკოტის "აივენჰო". ეს გახლდათ უფრო განათლებული აუდიტორიის მოზიდვის მცდელობები.

პირველი მსოფლიო ომის დროს, იმ პერიოდის მთავარი ფილმი იყო "სომის ბრძოლა," რომელიც 1916 წელს გამოვიდა. ფილმმა ბევრი პოლემიკა გამოიწვია, რადგან ბრძოლის სცენები ძალიან შოკისმომგვრელი იყო. ბევრი დამკვირვებელი თვლიდა, რომ იგი ზედმეტად გრაფიკული იყო. მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, ხალხმა დააფასა ფილმის

გადაღების რეალობა. მათ ისეთი ფილმი ამჯობინეს, როგორიც არის "სომის ბრძოლა", რადგან ის არ ცდილობდა მოეჩვენებინა, თითქოს, ომი ადვილი ან სახალისო იყო.

1914 წლამდე, კინოში ასევე აღინიშნებოდა სამეცნიერო ფანტასტიკის აღმავლობა, რაც შთაგონებული იყო ჟიულ ვერნისა და სხვა სამეცნიერო ფანტასტიკის ავტორების ნაწარმოებებით. ‘საჰაერო ხომალდის გამანადგურებელში“ და „საჰაერო წყალქვეშა ნავში“ 1910 წელს გამოჩნდა სათაურში მოხსენიებული მეკობრეებზე მონადირე ჰიბრიდული მანქანა, რომელიც საჰაერო ომის საფრთხეს ასახავდა. 1911 წლის ორმა ფილმმა "1920 წლის მეკობრეები" და "საჰაერო ანარქისტები" ქალაქებისთვის საჰაერო დაბომბვის საფრთხე აჩვენა, რაც გერმანული ზეპელინის თავდასხმების მიმართ იმდროინდელ რეალურ შიშს ასახავდა.

პირველი ბრიტანული სამეცნიერო ფანტასტიური მხატვრული მუნჯი ფილმი - "შეტყობინება მარსიდან" 1913 წელს გამოვიდა. იგი რიჩარდ ენტონის 1899 წლის პიესიდან იქნა ადაპტირებული რეჟისორ ჯ. უოლეტ უოლერის მიერ. 68 წუთის ხანგრძლივობით, ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო წინა ათწლეულის ერთ ან ორ კოჭიან მოკლემეტრაჟიან ფილმებთან შედარებით.

ფილმი ასახავს ეკრანიზაციების პოპულარობას. სიუჟეტი ეხმიანება ჩარლზ დიკენსის პოპულარულ ნოველას დანაშაულის გამოსყიდვის შესახებ „საშობაო სიმღერას“, რომელშიც მარსიანელი იკავებს იაკობ მარლის აჩრდილის ადგილს. მდიდარი, მოყვარული ასტრონომი ჰორას პარკერი (განასახიერებს თეატრის ცნობილი მსახიობი ჩარლზ ჰოტრი, რომელიც იმეორებს იმ როლს, რაც მან 1899 წელს პირველად ითამაშა სცენაზე) დაინიშულია მინი ტემპლერზე. მას შობის ღამეს უცხოპლანეტელები სტუმრობენ, რომლებიც მის ეგოისტურ ხასიათს უჩვენებენ და მის საცოლეს ეჭვებში აგდებენ.

ფილმზე გავლენა მოახდინა ფრანგი ილუზიონისტის და კინორეჟისორის ჟორჟ მელიეს 1902 წლის ნოვატორულმა ფილმმა "მოგზაურობა მთვარეზე", რომელიც ცნობილია თავისი გენიალურად შექმნილი დეკორაციებით. თუმცა, სპეციალური ეფექტები ფილმში "შეტყობინება მარსზე" საკმაოდ შეზღუდულია, ძირითადად, კამერა ჩერდება, რათა გზავნილი/მესენჯერი გამოჩნდეს ან გაქრეს. არსებობს საკმაოდ წარმატებული ხრიკი, რომელიც აჩვენებს მესენჯერის ჯადოსნურ ძალას მთელი გამოსახულების რხევით, როდესაც ჰორაციო ცდილობს მას დაარტყას. ეს მიღწეული იქნა როგორც კამერის, ასევე გადასაღებ მოედანზე რამდენიმე ობიექტის შერყევის კომბინაციით.

ინტერიერის სცენები გადაღებულია საკმაოდ სტატიკური გზით, ფართო კადრითა და ფიქსირებული კამერით. თუმცა, კამერა უფრო მობილურია ლონდონში გარე სცენების გადაღებისას, რამდენიმე პანორამითა და კადრით, როცა კამერა მიჰყვება მოძრავ ობიექტს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახანძრო მანქანა ცეცხლის ჩასაქრობად მოდის.

მომხიბლავია ამ პერიოდის ბრიტანული ფილმის ყურება და უოლერი გვიჩვენებს, რომ კარგად იცნობს ბოლო სიახლეებს. თხრობა შეუფერხებლად მიედინება და პერსონაჟების მზერის მიმართულება სცენიდან სცენაზე გადადის. კამერა მოძრაობს და მსახიობები კადრში არსებულ სივრცეს მაქსიმალურად ეფექტურად ითვისებენ.

„შეტყობინება მარსს“ ასახავს ბრიტანელი კინორეჟისორის მიერ მარსიანელთა პირველ ეკრანულ გამოსახულებას, როგორც ფუტურისტულად გამოწყობილ მარსის ბინადრებს. აზრების გადაცემა, მყისიერი მოგზაურობა კოსმოსში, გონების კონტროლი და შორსმჭვრეტელი ბროლის ბურთი, ეს ყველაფერი ამ ინოვაციურ ფილმშია გამოყენებული”.

როგორც ისტორიული, ასევე კინოინდუსტრიის თვალსაზრისით მშფოთვარე ათწლეული დასრულდა, მცირედი გაცნობიერებით როგორც ესთეტიკური, ისე ტექნიკური რევოლუციების, რომლებიც 1920-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA